ხელშეკრულება #50

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **10 ივლისი 2018 წ**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი" (შემდგომში - „შემსყიდველი")** მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **მალხაზ ხარებავას** სახით და მეორე მხრივ **შპს „პარკინგსერვისი" (შემდგომში - „მიმწოდებელი")** მისი დირექტორის **ზვიდ მანდარიას** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს არასბიუჯეტო სახსრებით მომსახურების შესყიდვა. აკრედიტაციის ცენტრის ბალანსზე მყოფი მსუბუქი ავტომანქანების **TOYOTA RAV-4** სანომრე ნიშნით **XMX-707**-ის და KIA CERATO სანომრე ნიშნით **CJC-812**-ის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შესყიდვის ობიექტია კლასიფიკატორის დანაყოფის CPV კოდით **98300000**, კერძოდ: **CPV- 98351100** გათვალისწინებული მომსახურება;

1.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 08 იანვრამდე (182 დღე);

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1. პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2(ორი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის პარკირების საფასური შეადგენს **25.00 (ოცდახუთი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **50.00 (ორმოცდაათი) ლარს.**

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. ქუთაისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1.მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით, მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.
4.2.ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისათვის".ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ `საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.
5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს - მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.
6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის" ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი: ლევან აზრუმელაშვილი პ/ნ: 01012024980).

8. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.
8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი - „შემსყიდველს", ერთი - „მიმწოდებელს").

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

SERVICE
№1
412711230

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე. 2018 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 10 თებერვლის ჩათვლით

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

დასახელება: სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186 ალ. ყაზბეგის გამზირი #42ა
ტელეფონი: +995 32 219 22 33
საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი 200169325, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი **TRESGE22**, ანგარიშის სახაზინო კოდი 707197055

გენერალური დირექტორის მ/შ
მალხაზ ხარებავა

მიმწოდებელი:

დასახელება: შპს "პარკინგსერვისი"
მისამართი: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. #2
ს/კ: 412711230
ტელეფონი: 0431 310 310
საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: **UGEBGE22,**
ა/ა: **GE03VT0500000000033407**

დირექტორი
ზვიად მანდარია